

ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 15.09.2023 უძგ ნომერი: 800080002719 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

კორტევა აგრისაიენსი™ მოგიწოდებთ და იმედოვნებს, რომ თქვენ სრულად წაიკითხავთ და გააცნობიერებთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს, ვინაიდან მთელი დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომხმარებლებს აწვდის სამუშაო სივრცეში ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას და ეხმარება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში. პროდუქტის მომხმარებლები და განმცხადებლები პირველ რიგში უნდა გაეცნონ პროდუქტის ტარაზე მიკრულ ან თანმხლებ ეტიკეტს. ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შეესაბამება საქართველოს სტანდარტებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს სხვა ქვეყნების მარეგულირებელ მოთხოვნებს.

1. ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

პროდუქტის დასახელება : ტრანსფორმი წდგრ

მწარმოებლის ან მომწოდებლის მონაცემები

კომპანიის იდენტიფიკაცია : კორტევა აგრისაიენს ინტერნეიშენალ ს.ა.რ.ლ.  
მწარმოებელი/იმპორტიორი : როუდ დე სუისი 160  
CH-1290 ვერსუა  
შვეიცარია

ელ-ფოსტა : SDS@corteva.com

გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი : +32 3 575 55 55

ქიმიური პრეპარატის რეკომენდებული გამოყენება და გამოყენების შეზღუდვები

რეკომენდებული გამოყენება : ინსექტიციდური პრეპარატი

2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

GHS კლასიფიკაცია

წყლის გარემოსათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება : კატეგორია 1

წყლის გარემოსათვის გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება : კატეგორია 1

GHS – ეტიკეტირება

საშიშროების პიქტოგრამები :



სასიგნალო სიტყვა : ფრთხილად

საშიშროების შესახებ განცხადებები H410 ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

გამაფრთხილებელი განცხადებები : **რეაგირება:**  
P391 შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი  
**უტილიზაცია:**  
P501 შიგთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

სხვა საფრთხეები, რომლებიც არ იწვევს კლასიფიკაციას არ არის ცნობილი

### 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

სუფთა ნივთიერება/ნარევი : ნარევი

#### კომპონენტები

ქიმიური სახელწოდება	CAS-No.	კლასიფიკაცია	MAC სიდიდე მგ/მ <sup>3</sup> / TSEL სიდიდე	კონცენტრაცია (% w/w)
სულფოქსაფლორი (ISO)	946578-00-3	მწვავე ტოქსი. 4; H302 წყლის მწვავე 1; H400 წყლის ქრონიკული 1; H410	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	50,0269
კაოლინი	1332-58-7		MPC-TWA: 8 მგ/მ <sup>3</sup> უპირატესად ფიბროგენური მოქმედების აეროზოლები, კლასი 3 - ზომიერად საშიში მონაცემთა წყარო: RU OEL	>= 20 - < 25
შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან	1310-73-2	მწვავე ტოქსი. 5; H303 მწვავე ტოქსი. 5; H313	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	>= 10 - < 20
ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი		მწვავე ტოქსი. 5; H303 მწვავე ტოქსი. 5; H313 თვალის გაღ. – 2A; H319 წყლის მწვავე 2; H401	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	>=1,0 - <2,5
2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი	6132-04-3	წყლის მწვავე 2; H401	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	>=1,0 - <2,5

აბრევიატურების განმარტებისათვის იხილეთ ე-16 პარაგრაფი.

### 4: პირველადი დახმარების ზომები

ჩასუნთქვისას : **ჩასუნთქვისას:** გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შემდეგ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. პირით პირში სუნთქვისთვის გამოიყენეთ მაშველის დამცავი საშუალება (ჯიბის ნიღაბი და ა.შ.). მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს ან ექიმს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

- კანზე მოხვედრის შემთხვევაში : კანზე მოხვედრისას: გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. დაუყონებლივ ჩამოიბანეთ კანი დიდი რაოდენობის წყლით 10–15 წუთის განმავლობაში. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს ან ექიმს.
- თვალში მოხვედრისას შემთხვევაში : გახელილ მდგომარეობაში თვალეები ნელა და ფრთხილად მოიბანეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, მოიხსენით პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალეების გამორეცხვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიურ კონტროლის ცენტრს ან ექიმს.  
სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექსტრემალურ სიტუაციაში თვალეების ამოსარეცხი შესაფარისი საშუალებები.
- ჩაყლაპვისას : გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა არ არის საჭირო.
- ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები : არ არის ცნობილი
- პირველადი დამხმარეების აღმოჩენი პირების დაცვა : ექსპოზიციის რისკის არსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ იხილეთ მე-8 პარაგრაფი.
- მითითებები ექიმს : სპეციფიკური ანტიდოტი არ არსებობს. ზემოქმედების შედეგების მკურნალობა მიმართული უნდა იყოს სიმპტომების კონტროლზე და პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაზე. ტოქსიკოლოგიურ ცენტრში ან ექიმთან დარეკვისას, ან სამკურნალოდ წასვლისას, თან იქონიეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი, და თუ ხელმისაწვდომია, პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი.

### 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

- აალებადი თვისებები**
- ანთების წერტილი : არ გამოიყენება
- აალების ტემპერატურა : მეთოდი: EC მეთოდი A16  
GLP: კი  
არცერთი 400°C დაბალ ტემპერატურაზე
- აფეთქების ზედა ზღვარი / აალებადობის ზედა ზღვარი : არ გამოიყენება
- აფეთქების ქვედა ზღვარი / აალებადობის ქვედა ზღვარი : არ გამოიყენება
- ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ჭავლი  
ალკოჰოლმედეგი ქაფი  
ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>)  
მშრალი ქიმიური საშუალებები
- ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამო საშუალებები : არ არის ცნობილი
- განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : წვის პროდუქტების ზემოქმედება შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის საშიში.  
არ დაუშვათ ხანძრის ჩაქრობის საშუალებების ნარჩენების/ჩამონადენის სადრენაჟე სისტემებში ან წყალსადინარებში შეღწევა.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

- ხანძრის პირობებში წარმოიქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები : ხანძრის დროს წარმოიქმნილი კვამლი საწყის პროდუქტთან ერთად შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა შემადგენლობის წვის პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება იყოს ტოქსიკური და/ან გამადიზიანებელი. წვის პროდუქტები სხვა დანარჩენ ნივთიერებებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს: ნახშირბადის დიოქსიდს აზოტის ოქსიდებს (NOx)
- ხანძრის ჩაქრობის სპეციფიკური მეთოდები : გაიტანეთ დაუზიანებელი კონტეინერები ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. მოახდინეთ ტერიტორიის ევაკუაცია. გამოიყენეთ წყლის ჭავლი გაუხსნელი კონტეინერების გასაგრილებლად. გამოიყენეთ ადგილობრივი ვითარებისა და გარემომცველი ცეცხლის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
- დამატებითი ინფორმაცია : ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. არ ჩადვართ სადრენაჟე/საკანალიზაციო სისტემებში. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებელოება უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
- დაცვის სპეციალური საშუალებები მუხანძრეებისათვის : აუცილებლობის შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობის დროს გაიკეთეთ რესპირატორი. ატარეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

### 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

- პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები : თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა. გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.
- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : თუ პრეპარატი იწვევს მდინარეებისა და ტბების ან სადრენაჟე სისტემების დაბინძურებას, აცნობეთ შესაბამის ორგანოებს. პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში. თავიდან აიცილეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. შეაკავეთ და გაიტანეთ უტილიზაციისათვის დაბინძურებული ნარეცხი წყალი. ადგილობრივ ხელისუფლება უნდა იყოს ინფორმირებული, თუ მნიშვნელოვანი გაჟონვის შეკავება შეუძლებელია. თავიდან აიცილეთ ნიადაგში, თხრილებში, საკანალიზაციო სისტემებში, მიწისქვეშა წყლებში შეღწევა. იხილეთ მე-12 პარაგრაფი, ეკოლოგიური ინფორმაცია.
- გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები : დაღვრილი პროდუქტი მოწმინდეთ ან შეაგროვეთ მტვერსასრუტით და მოათავსეთ უტილიზაციისათვის შესაფერის ჭურჭელში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი, ნარჩენების მართვა.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

### 7: გამოყენება და შენახვა

- უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. პრეპარატის გამოყენების ზონაში უნდა აიკრძალოს თამბაქოს მოწევა, ჭამა და დაღევა. მიიღეთ პრევენციული ზომები პროდუქტის დაღვრის, ნარჩენების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და მინიმუმამდე დაიყვანეთ მისი გარემოში მოხვედრა. გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.
- უსაფრთხო შენახვის პირობები : შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურულ ტარაში. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში. პრეპარატის გახსნილი ტარა ხელახლა უნდა დაილუქოს და მოთავსდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში, გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. შეინახეთ მოქმედი ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.
- შეთავსებელი მასალები : ძლიერი დამჟანგავი აგენტები.
- შესაფუთი მასალები : შეუსაბამო მასალა: არ არის ცნობილი.

### 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

კომპონენტი	CAS-No.	მნიშვნელობის ტიპი (ექსპოზიციის ფორმა)	კონტროლო პარამეტრები/ დასაშვები კონცენტრაცია	საფუძველი
კაოლინი	1332-58-7	MPC-STEL (აეროზოლი)	8 მგ/მ <sup>3</sup>	RU OEL
დამატებითი ინფორმაცია: უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები, კლასი 3 - ზომიერად საშიში				
		TWA (შესუნთქვადი მტვერი)	0,1 მგ/მ <sup>3</sup>	2004/37/EC

#### კომპონენტები სამუშაო ადგილზე კონტროლის პარამეტრებით

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : გამოიყენეთ ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია ან საინჟინრო კონტროლის სხვა საშუალებები, სამუშაო ზონის ჰაერში დასაშვები ექსპოზიციის დონის მოთხოვნებისა და რეკომენდაციების ქვემოთ შესაწარმუნებლად.

თუ ზღვრული ზემოქმედების მიმართ არ გამოიყენება შესაბამისი მოთხოვნები ან რეკომენდაციები, სამუშაოების უმეტესობისათვის საკმარისი უნდა იყოს საერთო ვენტილაცია.

**ინდივიდუალური დაცვის საშუალებები**  
სასუნთქი გზების დაცვა :

სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც არსებობს ექსპოზიციის დონის მიმართ მოთხოვნების ან რეკომენდაციების გადაჭარბების შესაძლებლობა. თუ ექსპოზიციის დონის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან რეკომენდაციები, სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები გამოიყენეთ მაშინ, როდესაც შეინიშნება ისეთი არასასურველი ეფექტები, როგორცაა სასუნთქი გზების გაღიზიანება ან

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: განახლების თარიღი: უმზ ნომერი: ბოლო გამოცემის თარიღი –  
1.0 15.09.2023 800080002719 პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

დისკომფორტი, ან როდესაც ეს მითითებულია თქვენი რისკების შეფასების პროცესში. უმეტეს შემთხვევაში სასუნთქი გზების დაცვა არ არის საჭირო; თუმცა, თუ დისკომფორტს განიცდით, გამოიყენეთ აპრობირებული ჰაერის გამწმენდი რესპირატორი.

ხელეუბის დაცვა  
შენიშვნა

: ამ პრეპარატის გამოყენებისას ქიმიური დამცავი ხელთათმანი არ არის აუცილებელი. ზოგადი ჰიგიენური პრაქტიკის შესაბამისად, ნებისმიერი პრეპარატის გამოყენებისას, მინიმუმამდე უნდა შემცირდეს კანთან შეხება.

თვალების დაცვა

: გამოიყენეთ ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისგან დამცავი სათვალე

კანისა და სხეულის დაცვა

: სუფთა, მთელი სხეულის დამცავი ტანსაცმელის ტარების გარდა, უსაფრთხოების სხვა ზომები არ არის საჭირო.

### 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

გარეგანი სახე

: გრანულები

ფერი

: თეთრი

სუნი

: მსუბუქი

სუნის ზღურბლი

: მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

pH

: 7,05 (24,8 °C)

კონცენტრაცია: 1 %

მეთოდი: CIPAC MT 75.1

GLP: კი

ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი

: მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

გაყინვის ტემპერატურა

: არ გამოიყენება

დუღილის ტემპერატურა/დუღილის  
დიაპაზონი

: არ გამოიყენება

ანთების წერტილი

: არ გამოიყენება

აორთქლების სიჩქარე

: არ გამოიყენება

აფეთქების ზედა ზღვარი/აალების  
ზედაზღვარი

: არ გამოიყენება

აფეთქების ქვედა ზღვარი/აალების  
ქვედა ზღვარი

: არ გამოიყენება

ორთქლის წნევა

: არ გამოიყენება

ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე

: არ გამოიყენება

ფარდობითი სიმკვრივე

: მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

სიმკვრივე

: არ გამოიყენება

მოცულობითი სიმკვრივე

: 0,42 გ/სმ<sup>3</sup> (24,1 °C)

მეთოდი: CIPAC MT 33

GLP: კი

ხსნადობა

წყალში ხსნადობა

: მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

თვითაალების ტემპერატურა

: მეთოდი: EC მეთოდი A16

GLP: კი

400 °C ტემპერატურაზე დაბლა არცერთი

სიბლანტე

კინემატიკური სიბლანტე

: არ გამოიყენება

ფეთქებადი თვისებები

: არ არის ფეთქებადი

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

დამუშავების თვისებები : მექანიკური ზემოქმედება @ 20,25 ინჩი  
GLP: კი  
: არ არის მნიშვნელოვანი ზრდა (> 5°C) ტემპერატურაზე.  
მეთოდი: EPA OPPTS 830.6314 (დამუშავების ან აღმდგენი მოქმედება)  
GLP: კი

### 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

რეაქტიულობა : არ კლასიფიცირდება როგორც რეაქტიული საშიშროების მქონე.  
ქიმიური მდგრადობა : ინსტრუქციების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს არ იშლება. სტაბილურია ნორმალურ პირობებში.  
სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა : სტაბილურია რეკომენდებული შენახვის პირობებში. განსაკუთრებული საშიშროება არ არსებობს.  
ასარიდებელი გარემოებები: : არ არის ცნობილი  
შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები : ძლიერი მჟავები  
საშიში დაშლის პროდუქტები : ძლიერი ფუძეები  
: ნახშირბადის დიოქსიდი

### 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

#### მწვავე ტოქსიკურობა

##### პროდუქტი

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 5.000 მგ/კგ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 425 სახელმძღვანელო პრინციპებით  
სიმპტომები: ამ კონცენტრაციის დროს სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.  
შეფასება: ნივთიერება ან ნარევი არ იწვევს მწვავე პერორალურ ტოქსიკურობას

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა : LC50 (ვირთაგვა, მამრი და მდედრი): > 5,35 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 4 სთ  
საკვლევი გარემო: მტვერი/აეროზოლი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით  
GLP: კი  
შეფასება: ნივთიერება ან ნარევი არ იწვევს მწვავე ინჰალაციურ ტოქსიკურობას

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 5.000 მგ/კგ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 402 სახელმძღვანელო პრინციპებით  
სიმპტომები: ამ კონცენტრაციის დროს სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.

#### კომპონენტები:

##### სულფოქსაფლორი (ISO):

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა, მდედრი): 1.000 მგ/კგ  
შენიშვნა: ცხოველებზე დაკვირვებები მოიცავს:  
კუნთების სპაზმს ან კრუნჩხვებს.  
ტრემორს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

კონველსიებს.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა : LC50 (ვირთაგვა): > 2,09 მგ/ლ  
საკვლევი გარემო: მტვერი/აეროზოლი  
სიმპტომები: LC50 მნიშვნელობა აღემატება მაქსიმალურად დასაშვებ კონცენტრაციას. ამ კონცენტრაციაზე სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.  
შეფასება: ნივთიერება ან ნარევი არ იწვევს მწვავე ინჰალაციურ ტოქსიკურობას

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 5.000 მგ/კგ  
სიმპტომები: ამ კონცენტრაციის დროს სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.  
შეფასება: ნივთიერება ან ნარევი არ იწვევს მწვავე დერმალურ ტოქსიკურობას

### კაოლინი:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 5.000 მგ/კგ

### შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 2.000 მგ/კგ  
მეთოდი: გაანგარიშებული.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 2.000 მგ/კგ  
მეთოდი: გაანგარიშებული.

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილ ტაურატი:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 2.000 მგ/კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 2.000 მგ/კგ

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): 11.700 მგ/კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD50 (ვირთაგვა): > 2.000 მგ/კგ  
შეფასება: ნივთიერება ან ნარევი არ იწვევს მწვავე დერმალურ ტოქსიკურობას

### კანის კოროზია/გალიზიანება

#### პროდუქტი:

სახეობა : ბოცვერი  
მეთოდი : ტესტი OECD-ის 404 სახელმძღვანელო პრინციპებით  
შედეგი : არ აღიზიანებს კანს

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : არ აღიზიანებს კანს

#### კაოლინი:

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : არ აღიზიანებს კანს



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

---

### თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გაღიზიანება:

#### პროდუქტი:

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : არ აღიზიანებს თვალებს  
მეთოდი : ტესტი OECD-ის 405 სახელმძღვანელო პრინციპებით

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : არ აღიზიანებს თვალებს

#### კაოლინი:

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : არ აღიზიანებს თვალებს

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილ ტაურატი:

სახეობა : ბოცვერი  
შედეგი : თვალების გაღიზიანება

### რესპირატორული და კანის სენსიბილიზაცია

#### პროდუქტი:

ტესტის ტიპი : ლოკალური ლიმფური კვანძების ანალიზი  
სახეობა : თაგვი  
შეფასება : არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას  
მეთოდი : ტესტი OECD-ის 429 სახელმძღვანელო პრინციპებით  
: არ იწვევდა რესპირატორულ სენსიბილიზაციას

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

სახეობა : თაგვი  
შეფასება : არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილ ტაურატი:

სახეობა : ზღვის გოჭი  
შეფასება : არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

სახეობა : ზღვის გოჭი  
შეფასება : არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას

### სასქესო უჯრედების მუტაგენურობა

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა – : *ინ ვიტრო* გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო. საცდელ

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

შეფასება      ცხოველებზე გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა – შეფასება : ინ ვიტრო გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა – შეფასება : ინ ვიტრო გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

### კანცეროგენული მოქმედება

#### პროდუქტი:

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში რაიმე სახის კანცეროგენული მოქმედება არ გამოვლენილა.

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ლაბორატორიულ ცხოველებში არ იწვევდა კიბოს განვითარებას. ამასთან გავლენა სპეციფიკურია სახეობების მიმართ და არ არის რელევანტური ადამიანებისათვის.

#### კალინი:

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში რაიმე სახის კანცეროგენული მოქმედება არ გამოვლენილა.

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ლაბორატორიულ ცხოველებში არ იწვევდა კიბოს განვითარებას.

### რეპროდუქციული ტოქსიკურობა

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

რეპროდუქციული ტოქსიკურობა – შეფასება : ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში ნაჩვენებია, რომ ნივთიერება აფერხებს რეპროდუქციას. თუმცა, გავლენა სპეციფიკურია სახეობების მიმართ და არ არის რელევანტური ადამიანებისათვის. ეს კონცენტრაციები აღემატება ადამიანის შესაბამის დოზის დონეებს. ლაბორატორიულ ცხოველებში მაღალმა დოზებმა გამოიწვია თანდაყოლილი დეფექტები. ლაბორატორიულ ცხოველებში მშობელი ცხოველების მიმართ ტოქსიკურმა გადაჭარბებულმა დოზებმა გამოიწვია წონისა და ნაშიერის სიცოცხლისუნარიანობის შემცირება. თუმცა, გავლენა სპეციფიკურია სახეობების მიმართ და არ არის რელევანტური ადამიანებისათვის.

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

რეპროდუქციული ტოქსიკურობა – შეფასება : სკრინინგულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ეს ნივთიერება გავლენას არ ახდენს რეპროდუქციაზე.

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

რეპროდუქციული ტოქსიკურობა – შეფასება : ლაბორატორიულ ცხოველებში არ იწვევდა თანდაყოლილ დეფექტებს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: განახლების თარიღი: უმზ ნომერი: ბოლო გამოცემის თარიღი –  
1.0 15.09.2023 800080002719 პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

---

### STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია

#### **პროდუქტი:**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

#### **კომპონენტები:**

##### **სულფოქსაფლორი (ISO):**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

#### **კაოლინი:**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

#### **ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

#### **2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

### STOT – განმეორებითი ექსპოზიცია

#### **პროდუქტი:**

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს პრეპარატი არ არის STOT-RE ტოქსიკანტი.

### განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

#### **კომპონენტები:**

##### **სულფოქსაფლორი (ISO):**

შენიშვნა : ცხოველებში დაფიქსირდა შემდეგ ორგანოებზე ზემოქმედება: ღვიძლი.

#### **კაოლინი:**

შენიშვნა : კრისტალური სილიციუმის ორჟანგის განმეორებითმა გადაჭარბებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სილიკოზი, ფილტვების პროგრესირებადი და დამაზიანებელი დაავადება.

#### **ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:**

შენიშვნა : არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, არ არის მოსალოდნელი, რომ განმეორებითმა ზემოქმედებამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები.

### ასპირაციული ტოქსიკურობა

#### **პროდუქტი:**

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

#### კაოლინი:

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

#### შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან:

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

#### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ასპირაციის საშიშროება ვერ დადგინდა.

#### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

## 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

### ეკოტოქსიკურობა

#### პროდუქტი:

თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (Oncorhynchus mykiss (ცისარტყელა კალმახი)): 19,5 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
კვლევის ტიპი: ნახევრად-სტატიკური ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური

დაფინასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (ქირონომიდები (Chironomus riparius)): 0,48 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
კვლევის ტიპი: სტატიკური ტესტი

EC50 (Daphnia magna (წყლის რწყილი)): > 110 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 48 სთ  
კვლევის ტიპი: ნახევრად-სტატიკური ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური

წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : ErC50 (diatom Navicula sp. (დიატომები)): > 100 მგ/ლ  
საბოლოო წერტილი: ზრდის ტემპის ინჰიბირება  
ექსპოზიციის დრო: 72 სთ  
კვლევის ტიპი: ზრდის ინჰიბირება

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (Eisenia fetida (ჭიაყელები)): 1.050 მგ/კგ  
ექსპოზიციის დრო: 14 დღე  
საბოლოო წერტილი: გადარჩენა

მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : პერორალური LC50 (Colinus virginianus (ვირჯინიული გნოლი)): 1655 მგ/კგ  
სხეულის წონაზე  
პერორალური LD50 ( Apis mellifera (ფუტკრები)): 0,153 მკგ/ფუტკარზე  
ექსპოზიციის დრო: 48 საათი

კონტაქტური LD50 (Apis mellifera (ფუტკრები)): 0,448 მკგ/ფუტკარზე

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

ექსპოზიციის დრო: 48 საათი

### ეკოტოქსიკოლოგიური შეფასება

- წყლის გარემოსათვის მწვავე ტოქსიკურობა : ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.
- წყლის გარემოსათვის ქრონიკული ტოქსიკურობა : ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

- თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (Oncorhynchus mykiss (ცისარტყელა კალმახი)): >387 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
კვლევის ტიპი: სტატისტიკური ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური  
  
LC50 (Lepomis macrochirus (Bluegill sunfish)): > 363 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
  
EC50 (Cyprinus carpio (კობრი)): > 402 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ
- დაფნიასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (Daphnia magna (წყლის რწყილი)): > 399 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 48 სთ  
კვლევის ტიპი: სტატისტიკური ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური  
EC50 (Chironomus riparius (ქირონომიდები)): 0,622 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ
- წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : ErC50 (Pseudokirchneriella subcapitata (მწვანე წყალმცენარეები)): > 100 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
კვლევის ტიპი: სტატისტიკური ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური  
  
ErC50 (Lemna gibba): > 100 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 7 დღე
- თევზების მიმართ ტოქსიკურობა (ქრონიკული ტოქსიკურობა) : NOEC (Pimephales promelas (fathead minnow)): > 12,9 მგ/ლ  
საბოლოო წერტილი: სიკვდილიანობა  
ექსპოზიციის დრო: 30 დღე  
კვლევის ტიპი: გამდინარე-ნაკადის ტესტი
- დაფნიასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა (ქრონიკული ტოქსიკურობა) : NOEC (Daphnia magna (წყლის რწყილი)): 50,5 მგ/ლ  
საბოლოო წერტილი: ზრდა-განვითარება  
ექსპოზიციის დრო: 21 დღე  
კვლევის ტიპი: ნახევრად-სტატისტიკური ტესტი  
  
NOEC (მარილიანი წყლის მიზიდები Mysidopsis bahia): 0,114 მგ/ლ  
საბოლოო წერტილი: შთამომავლების რაოდენობა

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

ექსპოზიციის დრო: 28 დღე  
კვლევის ტიპი: გამდინარე-ნაკადის ტესტი  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 211 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური

- ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (*Eisenia fetida* (ჭიკაყვინტი)): 0,885 მგ/კგ
- მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : LD50 / *Colinus virginianus* (ვირჯინიული გნოლი): >2, 250 მგ/კგ
- პერორალური LC50 (*Colinus virginianus* (ვირჯინიული გნოლი)): 5620 მგ/კგ სხეულის წონაზე
- პერორალური LD50 (*Apis mellifera* (ფუტკრები)): 0,146 მკგ/ფუტკარზე ექსპოზიციის დრო: 48 საათი
- კონტაქტური LD50 (*Apis mellifera* (ფუტკრები)): 0,539 მკგ/ფუტკარზე ექსპოზიციის დრო: 48 საათი

### ეკოტოქსიკოლოგიური შეფასება

- წყლის გარემოსათვის მწვავე ტოქსიკურობა : ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.
- წყლის გარემოსათვის ქრონიკული ტოქსიკურობა : ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

### შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან:

- თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (თევზები): > 1.000 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 96 სთ
- დაფნასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (*Daphnia magna* (წყლის რწყილი)): > 1.000 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 48 სთ

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

- თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (*Danio rerio* (zebra fish)): 1,32 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 96 სთ
- დაფნასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (*Daphnia magna* (წყლის რწყილი)): > 5,76 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 48 სთ
- წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (*Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები)): 197 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 72 სთ
- დაფნასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა (ქრონიკული ტოქსიკურობა) : NOEC (*Daphnia magna* (წყლის რწყილი)): 2 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 21 დღე

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

- თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (*Poecilia reticulata* (გუპი)): 18 - 32 მგ/ლ ექსპოზიციის დრო: 96 სთ

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

- დაფინასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (წყლის რწყილი Daphnia magna): 5,6 - 10 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 48 სთ
- წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (Chlorella vulgaris (მტკნარი წყლის წყალმცენარეები)): 18 - 32 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 96 სთ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური
- მიკროორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : (ბაქტერია): > 1,8 - 3,2 მგ/ლ  
ექსპოზიციის დრო: 8 სთ

### მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

#### კომპონენტები:

##### სულფოქსაფლორი (ISO):

- ბიოდეგრადაციის უნარი : შედეგი: არ არის ბიოდეგრადირებადი.  
ბიოდეგრადაცია: 0 %  
ექსპოზიციის დრო: 28 დღე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 310 სახელმძღვანელო პრინციპებით  
შენიშვნა: ნივთიერება არ არის ადვილად ბიოდეგრადირებადი OECD/EEC-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.
- ThOD : 1,90 კგ/კგ
- ფოტოდეგრადაციის უნარი : კვლევის ტიპი: ნახევარდაშლის პერიოდი (არაპირდაპირი ფოტოლიზი)  
სენსიბილიზატორი: OH რადიკალები  
სიჩქარის მუდმივა: 1,653E-11 სმ3/წმ  
მეთოდი: გაანგარიშებული

#### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

- ბიოდეგრადაციის უნარი : შედეგი: ადვილად ბიოდეგრადირებადი  
ბიოდეგრადაცია: 80 %  
ექსპოზიციის დრო: 28 დღე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 301B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური.  
10-დღიანი ინტერვალი: გავლილი  
შენიშვნა: ნივთიერება არის ადვილად ბიოდეგრადირებადი, გადის სრული ბიოდეგრადაციის OECD-ის ტესტ(ებ)ს.

#### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

- ბიოდეგრადაციის უნარი : შედეგი: ადვილად ბიოდეგრადირებადი  
ბიოდეგრადაცია: 98 %  
ექსპოზიციის დრო: 2 დღე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 302 სახელმძღვანელო პრინციპებით  
შენიშვნა: ნივთიერება არის ადვილად ბიოდეგრადირებადი, გადის სრული ბიოდეგრადაციის OECD-ის ტესტ(ებ)ს.
- ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება (BOD) : 364 მგ/გ

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

ქანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (COD) : 480 მგ/გ

### ბიოაკუმულაციის პოტენციალი

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : log Pow: 0,802 (20 °C)  
pH: 7  
მეთოდი: გაზომილი  
შენიშვნა: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი (BCF < 100 ან Log Pow < 3).

#### შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან:

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : შენიშვნები: ამ პროდუქტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

#### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : Pow: 1,36 (20 °C)  
შენიშვნა: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი (BCF < 100 ან Log Pow < 3).

#### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : log Pow: -1,8 - -0,2  
მეთოდი: გამოთვლილი  
შენიშვნა: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის დაბალი (BCF < 100 ან Log Pow < 3).

#### მიგრაცია /მოზილოზობა ნიადაგში

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

გარემოს შემადგენელ ნაწილებში განაწილება : Koc: 40  
მეთოდი: გაზომილი  
შენიშვნა: ნიადაგში მოზილოზობის პოტენციალი არის ძალიან მაღალი (Koc 0–დან 50–მდე).

#### სხვა მავნე ეფექტები

#### კომპონენტები:

#### სულფოქსაფლორი (ISO):

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ოზონის შრის დაშლის პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ შედის მონრეალის პროტოკოლის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სიაში.



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: 1.0      განახლების თარიღი: 15.09.2023      უმზ ნომერი: 800080002719      ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

### კაოლინი:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ოზონის შრის დაშლის პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ შედის მონრეალის პროტოკოლის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სიაში.

### შარდოვანა, პოლიმერი ფორმალდეჰიდთან:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT).

ოზონის შრის დაშლის პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ შედის მონრეალის პროტოკოლის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სიაში.

### ნატრიუმის N-მეთილ-N-ოლეოილტაურატი:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ოზონის შრის დაშლის პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ შედის მონრეალის პროტოკოლის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სიაში.

### 2-ჰიდროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას ტრინატრიუმის მარილი, დიჰიდრატი:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

## 13. უტილიზაციის ღონისძიებები

### ნარჩენების მართვის მეთოდები

გამოუსადეგარი ნარჩენები : თუ ნარჩენების ან/და ტარის უტილიზაცია/განთავსება შეუძლებელია პროდუქტის ეტიკეტის ინსტრუქციების შესაბამისად, მაშინ ამ მასალის მართვა უნდა განხორციელდეს თქვენი ადგილობრივი ან რეგიონალური ხელისუფლების მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება პროდუქტზე, მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. თვისებების ან ჩამონათვალის საფუძველზე იდენტიფიკაცია არ შეიძლება, თუ პრეპარატი გამოყენებულია, ან სხვა გზებით არის დაბინძურებული. წარმოქმნილი მასალის ტოქსიკურობისა და ფიზიკური თვისებების შეფასება, ნარჩენების სწორად იდენტიფიკაციისა და უტილიზაციის მეთოდების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა, წარმოადგენს ნარჩენების წარმოქმნელის/მომხმარებლის პასუხისმგებლობას.

თუ მოწოდებული პროდუქტი უკვე იქცა ნარჩენად, დაიცავით ყველა მოქმედი რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი კანონი.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: განახლების თარიღი: უმზ ნომერი: ზოლო გამოცემის თარიღი –  
1.0 15.09.2023 800080002719 პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

### 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

UN (გაეროს) ნომერი : UN3077  
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი, N.O.S.  
(სულფოქსაფლორი)  
კლასი : 9  
შეფუთვის ჯგუფი : III  
ეტიკეტები : 9  
საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი : 90  
გვირაბში შეზღუდვის კოდი : (-)

#### UNRTDG

UN ნომერი : UN3077  
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი, N.O.S.  
(სულფოქსაფლორი)  
კლასი : 9  
შეფუთვის ჯგუფი : III  
ეტიკეტები : 9

#### ATA-DGR

UN/ID No. : UN3077  
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი, N.O.S.  
(სულფოქსაფლორი)  
კლასი : 9  
შეფუთვის ჯგუფი : III  
ეტიკეტები : სხვადასხვა  
შეფუთვის ინსტრუქცია (სატვირთო : 956  
თვითმფრინავი)  
შეფუთვის ინსტრუქცია (სამგზავრო : 956  
თვითმფრინავი)

#### MDG-Code

UN ნომერი : 3077  
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი, n.o.s. (ნიკოსულფურონი)  
კლასი : 9  
შეფუთვის ჯგუფი : III  
ეტიკეტები : 9  
EmS Code : F-A, S-F  
ზღვის დამაბინძურებელი : არის (სულფოქსაფლორი)  
შენიშვნა : ტვირთის კატეგორია A

დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ ვრცელდება მოწოდებულ პროდუქტზე.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია: განახლების თარიღი: უმზ ნომერი: ბოლო გამოცემის თარიღი –  
1.0 15.09.2023 800080002719 პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

### დამატებითი ინფორმაცია:

საზღვაო დამაბინძურებლები, რომლებსაც ენიჭება გაეროს ნომერი 3077 და 3082, ცალკეულ ან კომბინირებულ შეფუთვაში შეიცავს სუფთა რაოდენობას 5 ლ-ს ან ნაკლებს სითხეებისათვის, ასევე ცალკეულ ან შიდა შეფუთვაში სუფთა წონას 5 კგ-ს ან ნაკლებს მყარი ნივთიერებებისათვის, შეიძლება იყოს ტრანსპორტირებული, როგორც არასახიფათო ტვირთები, როგორც ეს მოცემულია IMDG კოდექსის 2.10.2.7 ნაწილში, სპეციალურ დებულებაში IATA A197 სპეციალურ დებულებაში და ADR / RID სპეციალურ დებულებაში 375.

### უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისათვის

აქ მოწოდებული ტრანსპორტირების კლასიფიკაცია(ები) განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის და ეყრდნობა მხოლოდ გაუხსნელი პროდუქტის თვისებებს, როგორც ეს აღწერილია ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში. ტრანსპორტირების კლასიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს სატრანსპორტო საშუალების ტიპის, შეფუთვის ზომისა და რეგიონალური ან ქვეყნის რეგულაციებში ცვლილებების შესაბამისად.

## 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/  
კანონმდებლობა

## 16. დამატებითი ინფორმაცია

მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი.

H302	მავნე გადაყლაპვისას.
H303	შეიძლება მავნე იყოს გადაყლაპვისას.
H313	შეიძლება იყოს მავნე კანთან კონტაქტისას.
H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
H400	ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის
H401	ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.
H410	ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

### სხვა აბრევიატურების სრული ტექსტი

მწვავე ტოქსი.	:	მწვავე ტოქსიკურობა
წყლის მწვავე	:	წყლის გარემოსათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება
წყლის ქრონიკული	:	წყლის გარემოსათვის გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება
თვალის გაღიზ.	:	თვალის გაღიზიანება
2004/37/EC	:	ევროპული 2004/37/EC დირექტივა სამუშაოზე კანცეროგენების ან მუტაგენების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის შესახებ.
RU OEL	:	SanPiN 1.2.3685-21 Table 2.1, Table 2.8, Table 2.16 & Table 2.17 მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია (MPC) სამუშაო ადგილის ჰაერში
2004/37/EC / TWA	:	გრძელვადიანი ექსპოზიციის ზღვარი
RU OEL / MPC- TWA	:	მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია - დროში გასაშუალოებული ზემოქმედება

ADR - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ; ASTM - მასალების (ნივთიერებების) ტესტირების ამერიკული საზოგადოება; ECx - ეფექტური კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის x%-თან; ELx - დატვირთვის სიდიდე, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის x%-თან; EmS - საგანგებო განრიგი.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

## ტრანსფორმი წდგრ

ვერსია:	განახლების თარიღი:	უმგ ნომერი:	ბოლო გამოცემის თარიღი –
1.0	15.09.2023	800080002719	პირველი გამოცემის თარიღი: 15.09.2023

---

ENCS - არსებული და ახალი ქიმიური ნივთიერებები (იაპონია); ErCx - x% რეაქციასთან; GHS – (გაერთიანებული ერების) ქიმიური ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა; GLP– კარგი ლაბორატორიული პრაქტიკა; IATA - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია; IBC - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კოდექსი დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადაზიდვის გემების მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ; IC50 - საშუალო მაინჰიბირებელი კონცენტრაცია; IMDG - საერთაშორისო საზღვაო სახიფათო ტვირთები; IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; LC50 - სასიკვდილო კონცენტრაცია 50% საცდელი პოპულაციისათვის; LD50 - სასიკვდილო დოზა 50% საცდელი პოპულაციისათვის (საშუალო სასიკვდილო დოზა); MARPOL -საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; **n.o.s.** - სხვაგვარად მითითებული არ არის; NOEC - დაუფიქსირებელი ეფექტური კონცენტრაცია; OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; OPPTS - პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი; (Q)SAR - (რაოდენობრივი) სტრუქტურა-აქტივობის ურთიერთკავშირი; RID - სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები; SDS - უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი; UN - გაერთიანებული ერები.

პროდუქტის კოდი: GF-2372

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს და შეიძლება არ იყოს სარწმუნო იმ პრეპარატისათვის რომელიც გამოიყენება სხვა ნივთიერებებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში და ეს არ არის მითითებული ტექსტში.

GE / 6N